თბილისის ურბანიზაცია და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები

მომხსენებელი: ნინო ხარებავა
ხელმძღვანელი: პროფ. დალი ნიკოლაიშვილი
თანახელმძღვანელი: მარიამ ციცაგი
ელ. ფოსტა: nino.kharebava@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. #3

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია თბილისის ურბანიზაციის პროცესი, განხილულია ურბანიზაციის დონე, რაც გვიჩვენებს მსოფლიოს მასშტაბით განვითარებულ, განვითარებად თუ შუალედური ქვეყნების ჯგუფს ვეკუთვნით. ურბანიზაციის პროცესის მიმდინარეობის კუთხით საქართველოს ქალაქებს შორის რა ადგილი უჭირავს, რომ შედის „დიდ ოთხეულში“ და თითქმის ყველა დემოგრაფიული მაჩვენებლით პირველ ადგილზეა. ამასთან ერთად დადგინდა, რომ 2020 წლის იანვრის მონაცემით, თბილისის მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი ჩამოუვარდება ბათუმის მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელს, რის გამოც მან ამ კუთხით პირველობა დაკარგა. შესაბამისად განხილულია აღნიშნული ფაქტის მიზეზები.

განხილულია, ქალაქში არსებული ურბანიზაციის პროცესის შედეგები, რა განაპირობებს მის განვითარებას, ასევე, ქალაქში ცხოვრების მიზიდვის ფაქტორები.

თბილისის ურბანიზაციის პროცესის თანმხლები აქტუალური საკითხები არის წინ წამოწეული, პროცესის შესაბამისობაში კი ნათლად ჩანს პრობლემები ეკოლოგიური კუთხით.